

ბენდუქიზმმა, როგორც იდეოლოგიამ, გაიმარჯვა

პაპავა: „გამოდის, რომ ჟვანია ქვეყნისთვის საჭირო ინტერესებს შეეწირა“

გაზეთი “რეზონანსი” – 22 აგვისტო, № 224, 2009.

აქციების შემდეგ მთავრობაში პირველი ცვლილება განხორციელდა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ ცვლილებას ერთ-ერთი ყველაზევეროსპული ორიენტაციის მინისტრი შეეწირა. ყოველ შემთხვევაში, ექსპერტები ლაშა ჟვანიას სწორედ ამ ორიენტაციის მინისტრად მიიჩნევენ და, რაც მთავარია, მისი მოხსნის მიზეზადაც ამ ფაქტორს ასახელებენ.

როგორც გილაურმა განაცხადა, მინისტრის გადაყენების მიზეზი გახდა უწყების და პირადად ლაშა ჟვანიას არადაამაკმაყოფილებელი მუშაობა ბოლო 6 თვის განმავლობაში. ლაშა ჟვანია ამ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს.

„ჩვენი დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაფორმების საკითხი წარმოადგენდა,“ - განაცხადა ჟვანიამ გუშინდელ ბრიფინგზე.

„იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში ეკონომიური კრიზისია, მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ სასწრაფოდ უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, ნიკა გილაური კი ამას ეწინააღმდეგება და დროს წელავს.“ განაცხადა ჟვანიამ და აღნიშნა, რომ პრივატიზაციის გეგმა არათუ არ სრულდება, არამედ უკვე გადაჭარბულადაც კი არის შესრულებული და, მისი თქმით, „გილაური სუსტი პრემიერია.“

ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, ამ კითხვით კითხვით „რეზონანსმა“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავას მიმართა.

ლადო პაპავა: პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე ისეთი ფაქტი დაასახელა, რაზეც კომენტარის გაკეთება ძალიან ძნელია. იგივე ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით, იგივე პრივატიზაციასთან დაკავშირებით, იგივე

ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, რომელმაც, გილაურით თქმით, პიდროსადგურის მშენებლობა შეაფერხა. მაგრამ ეს ყველაფერი, რაც პრემიერ-მინისტრმა დაასახელა, არის მეორეხარისხოვანი. მთავარი არის იდეოლოგიური განსხვავება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ პრემიერ-მინისტრი არ არის დამოუკიდებელი პირი. ის არის, ბენდუქიძის ხელქვეითი. არ ვიცი, მისი მხრიდან ეს ქვეცნობიერად თუ გაცნობიერებულად ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ ასეა. ის არის ბენდუქიძის გუნდის წევრი. ბენდუქიძისთვის კი მიუღებელი იყო ის თემები, რაც ჟვანიამ წამოსწია. მხედველობაში მაქვს ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება და ამისთვის ქართულ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების გატარება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ როგორც კი ჟვანია მინისტრად დაინიშნა, მან მოხსნა ორი მოადგილე, რომლებიც ბენდუქიძის გუნდის აქტიური წევრები იყვნენ და შემდეგ ეს ორივე გილაურმა თავის მრჩეველად დანიშნა და ლამის ვიცე-პრემიერის ფუნქციები მიანიჭა, რითაც, ფაქტობრივად, დაუპირისპირდა ლაშა ჟვანიას. ამით კი თავიდანვე ჩანდა, რომ ჟვანია და გილაური ერთად ვერ მოძოვდნენ.

„რ“: ის ბრალდებები, რაც გილაურმა ჟვანიას მისამართით დაასახელა, რამდენად არგუმენტირებულია?

ლ.პ: ეს ისეთი სპეციფიკური ბრალდებებია, რომ გარეშე პირისთვის რაიმეს თქმა ძნელია. მაგრამ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთავრობა ნებისმიერ რამეს იმის მიხედვით ამბობს, თუ როდის როგორ სჭირდება. ახლაც ამის თქმა სჭირდებოდა და თქვა. თავის მხრივ, ჟვანიამაც თქვა, გეგმას 202%-ით გადავაჭარბეთო. თუმცა, მის მიერ მოტანილი ციფრები ამდენი არ არის. მაგრამ, შესაძლოა, ამდენს გეგმავდა და წელი ჯერ არ არის დასრულებული და ამიტომ ეს მაჩვენებელი ჯერ არ არის.

„რ“: თქვენ ჟვანიას მინისტრობას როგორ აფასებთ?

ლ.პ: ჟვანია ეკონომისტი არ არის, აქედან გამომდინარე, მის ეკონომიკურ ქმედებებზე საუბარი ძნელია. მაგრამ, მთავარი არის ის, რომ მას ჰქონდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია ევროკავშირთან მიმართებაში და ეს არის მისი კოზირი. მაგრამ, ცუდი არის ის, რომ იგი მოხსნეს და მან თვითონ ვერ

იგრძნო, რომ მის მიერ წამოწყებული საქმე – ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება, იყო მიუღწევადი და თვითონ ვერ მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ.

„რ“: მაგრამ მან თქვა, რომ სააკაშვილის პოლიტიკასთან დაკავშირებით მისი ხედვა არ შეცვლილა. ეს წინააღმდეგობაში არმოდის იმასთან, რომ იგი მთავრობის პოლიტიკას უპირისპირდება?

ლ.პ: როგორც ჩანს, იგი მაინც ელოდება გარკვეულ თანამდებობას დიპლომატიურ სამსახურში და ამიტომ არ წავიდა ღია დაპირისპირებაზე. მაგრამ ეს დაპირისპირება მაინც შედგა და კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ ბენდუქიზმმა, როგორც იდეოლოგიამ, ქართულ ეკონომიკაში გაიმარჯვა.

„რ“: ეს იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირთან დაკავშირებით ეს სახელმწიფო პოლიტიკაა?

ლ.პ: რა თქმა უნდა. მაგრამ, იცით ცუდი რა არის? გამოდის, რომ სახელმწიფო თვალთმაქცობს. მთავრობა სიტყვიერად აცხადებს ევროპულ ორიენტაციას და რეალურად არ უნდათ იმის გაკეთება, რომ შეასრულონ ევროკავშირის მოთხოვნები, დააწესონ ევროკავშირის სტანდარტები, შემოიღონ ევროკავშირის რეგულაციები და ა.შ.

„რ“: რატომ არ უნდათ?

ლ.პ: საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში შეილახება მთავრობის ზოგიერთი წევრის ბიზნესინტერესი და აქედან გამომდინარე, ისინი საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას, ეკონომიკურ ინტეგრაციას ყველანაირად აფერხებენ. სწორედ ეს მოთხოვნა ჰქონდა ჟვანიას. ვფიქრობ, ეკონომიკურად მას ეს გააზრებული ბოლომდე ვერ ექნებოდა, მაგრამ პოლიტიკურად მან ითამაშა ქვეყნისთვის და თავისთვის მომგებიანი თამაში. ის რჩება ქართულ პოლიტიკაში როგორც გამორჩეული ევროპული ორიენტაციის მინისტრი, რაც მას უკვე ბრიუსელში დაუფასდება.

„რ“: ვის ინტერესს ეწინააღმდეგება ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება?

ლ.პ: ვინც ამ პოლიტიკას ატარებს. ამას დიდი მიხვედრა არსჭირდება. ეს არის ზოგადად პოლიტიკური პრობლემა და ამის გამო სახელმწიფოს ექმნება

პრობლემები და მათ შორის ბრიუსელთან მიმართებაშიც. ეს კი ქვეყნისთვის არის ძალიან არასასიამოვნო. გამოდის, რომ ჟვანია ქვეყნისთვის საჭირო ინტერესებს შეეწირა.

„რ“: თუ ვეროპულმა არა, აბა, რა ორიენტაციამ გაიმარჯვა?

ლ.პ: საქართველოში არანაირი პოლიტიკა არ არის და ამიტომ პოლიტიკის ვერანაირ ორიენტაციაზე ვერ ვილაპარაკებთ. საქართველოში არის პატარა ბიჭების საბავშვო ბაღობანა. ხოლო ის ხან პრორუსულ ელფერს იღებს, ხან პროამერიკულს და ა.შ. ამიტომ რაიმე პოლიტიკაზე საუბარი შეუძლებელია.

„რ“: ჟვანია მინისტრებმაც გააკრიტიკეს...

ლ.პ: მინისტრებს რაც შეეხება, ამაზე ლაპარაკიც კი არ ღირს. რომელიმე მათგანი, ვინც განცხადება გააკეთა, პიროვნებაა? ესენი არიან პატარა ბიჭები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და რაც პრემიერ-მინისტრმა თქვა, მათაც იგივე უნდა გაიმეორონ. ხვალ რომ გამოვიდეს სააკაშვილი და გილაურზე იგივე თქვას, რაც გილაურმა ჟვანიაზე, ეს პატარა ბიჭუნები თავის შესანარჩუნებლად იგივეს იტყვიან. როგორ შეიძლება იმაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება, რაც მინისტრებმა თქვეს? პრობლემა ის არის, რომ ვითომდა პრობლემაზე საუბრობენ მაშინ, როდესაც ჟვანია უკვე მოხსნეს. თუ ასეთი პრობლემები ჰქონდათ, რატომ აქამდე არაფერს ამბობდნენ?

„რ“: სხვა ცვლილებებიც არის მოსალოდნელი?

ლ.პ: საერთოდ, მნიშვნელოვან ცვლილებაზე მაშინ იქნებოდა ლაპარაკი, თუკი ამ ყველაფერს ჟვანია კი არა, გილაური თავისი პატარა ბენდუქიძეებით შეეწირებოდა და შეიქმნებოდა იმის შთაბეჭდილება, რომ შესაძლოა ქვეყანაში რაღაც სასიკეთოდ შეცვლილიყო. მაგრამ ამან შეიწირა ჟვანია და ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი კადრი არ არის დამოუკიდებელი და, თუკი ვინმეს რაიმე პოზიცია აქვს, ეს მიუღებელია ხელისუფლებისთვის. აქედან გამომდინარე, ყველაფერი გაგრძელდება ისე, როგორც აქამდე იყო.

„რ“: არც პრემიერ-მინისტრის შეცვლაა მოსალოდნელი?

ლ.პ: რა მნიშვნელობა აქვს, შეიცვლება თუ არა. სერიოზული კაცი მთავრობაში ვერ მოვა. იმიტომ, რომ რეალურად საჭირო და არსებითი სამუშაოს ჩატარებას ვერ შეძლებს. თუკი დარჩება გილაური, ეს არ იქნება

მოულოდნელი და არც ის, თუკი შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნისთვის სასიკეთო ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

„რ“: ბენდუქიძის რომელიმე თანამდებობაზე ოფიციალურად დანიშვნა თუ არის მოსალოდნელი?

ლ.პ: მას სულაც არ სჭირდება თანამდებობა. მან შექმნა პატარა ბენდუქიძეების საკმაოდ ძლიერი ქსელი და ისინი ყოველგვარი დავალების მიცემის გარეშეც თავის, უფრო სწორედ, ბენდუქიძის საქმეს აკეთებენ. ამიტომ იგი სადაც არის, იქ თავს ძალიან კომფორტულად გრძნობს.

„რ“: მაგრამ ეს ხომ ნიშნავს იმას, რომ მისი პოლიტიკის განხორციელება მოხდება?

ლ.პ: რა თქმა უნდა და მეც სწორედ ამას ვამბობ, რომ „ბენდუქიძიზმი“ გრძელდება.

რუსიკო მაჩაიძე